**სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო**

19 თებერვალი 2026

N 107/ს

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

**შპს "ნამი 8"-ზე „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ" მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვის გაცემის შესახებ**

2026 წლის 13 და 18 თებერვალს სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს მომართა შპს „სი ენ ჯი 2015"-მა და შპს „ნამი 8"-მ, ითხოვეს შპს „სი ენ ჯი 2015"-ზე „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ" მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვით გაცემული დიფთორმეთანი (HFC-32) – 30კგ CO ეკვივალენტის 1,1,1,2 ტეტრაფთორეთანი (HFC-134a) – 13,6 კგ-ის ოდენობით იმპორტის ნებართვის შპს „ნამი 8"-ზე გადაცემა.

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის, შპს „სი ენ ჯი 2015"-ს და შპს „ნამი 8"-ს 2026 წლის 13 თებერვლის N2079 და 18 თებერვლის N2354 ერთობლივი განცხადების საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. გაიცეს შპს "ნამი 8"-ზე (საიდენტიფიკაციო კოდი: 405514019) „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ" მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის და ტრანზიტის ნებართვა შემდეგი ნივთიერების იმპორტისათვის შესაბამისი ოდენობით:

ა) 1,1,1,2 ტეტრაფთორეთანი (HFC-134a) – 13,6 კგ.

2. ნებართვა ძალაშია მისი გამოცემიდან 2026 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

3. შპს „ნამი 8"-მ უზრუნველყოს საქართველოს მთავრობის 2023 წლის 3 აგვისტოს №286 დადგენილებით დამტკიცებული „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ" მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის და ტრანზიტის ნებართვის გაცემის, წლიური საიმპორტო კვოტის განაწილების წესისა და სანებართვო მოწმობის ფორმის დამტკიცების თაობაზე ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული სანებართვო პირობების შესრულება.

4. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „ნამი 8"-ს.

5. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ნამი 8"-ის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ელენე ღუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/107-21-4-202602191523

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE